აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის პოლიტიკური ანალიზისა და კვლევების სამმართველო

ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის ანალიზი

25 სექტემბერი, 2018

შინაარსი

1. შესავალი
2. საერთაშორისო ორგანიზაციები, მისიები და მათ მიერ განხორციელებული პროექტები
3. ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები და მათი საქმიანობის მიმართულებები
4. დასკვნა

1. შესავალი

აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე, 300-მდე არასამთავრობო ორგანიზაცია ფიქსირ-დება, თუმცა თითზე ჩამოსათვლელია მოქმედი ორგანიზაციები, რომლებიც დონორებისაგან ფინანსდებიან, ჰყავთ პარტნიორი ორგანიზაციები, მონაწილეობას ღებულობენ საგრანტო კონკურსებში და ახორციელებენ ადგილობრივი მოსახლეობის განვითარებისა და ხელშეწყობისათვის გამიზნულ პროექტებს.

წლების განმავლობაში რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაცია ძალიან აქტიურად საქმიანობდა ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე, მაგრამ ბევრმა მათგანმა მისია დაასრულა და აღნიშნული ტერიტორია დატოვა, დღეს რიგი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები აგრძელებენ თავიანთ საქმიანობას და საერთაშორისო ორგანიზაციებთან პარტნიორობას. ჩვენს ანალიზში გვინდა ცალკეული მათგანის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ვისაუბროთ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ფონდები და დონორი ორგანიზაციები, რომლებიც ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს აფინანსებენ, პროექტებზე მონიტორინგს ხშირ შემთხვევაში ვერ ახორციელებენ, რადგან დონორებს ადგილზე ჩასვლის შესაძლებლობა არ ეძლევათ, ამიტომ პროექტების შეფასება ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ მიწოდებული დოკუმენტების საფუძველზე ხდება, რაც ხშირ შემთხვევაში არაზუსტია და რეალობას არ შეესაბამება.

2. საერთაშორისო ორგანიზაციები, მისიები და მათ მიერ განხორციელებული პროექტები

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლობა საქართველოში 1993 წე გადაადგილებულ პირთა დაუყოვნებელი ჰუმანიტარული დახმარებით უზრუნ-ველყოფისათვის. მას შემდეგ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლობა საქართველოში აქტიურად იცავს თავშესაფრის მაძიებლების, ლტოლ-ვილების, დევნილებისა და მოქალაქეობის არ მქონე პირების უფლებებს და ეტაპობრივად ათვართოებს თავის პროგრამას ახლად გამოვლენილი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

„უმაღლესი კომისარიატის საქმიანობის მიზანია ლტოლვილთა პრობლემების ხანგრძლივი დროით მოგვარება, ნატურალიზაციისა და ადგილობრივ მოსახლეობასთან ინტეგრაციის გზით და დევნილთა დახმარება დაბრუნების მოლოდინში ადგილობრივი ინტეგრაციის მეშვეობით. ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მიდგომა ჰარმონიზებულია და ითვალისწინებს გაეროს სხვა სააგენტოების, პროგრამების და ფონდების ჰუმანიტარულ და განმავითარე-ბელ ძალისხმევას, რომელიც ხორციელდება გაეროს მუდმივი კოორდინატორის ხელმძღვანელობით და მიზნად ისახავს ჰუმანიტარული რეაგირებიდან უფრო ფართო განმავითარებელ რეაგირებაზე გადასვლას. აღნიშნული საქმიანობისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დევნილთა და ლტოლვილთა განვითარების დღის წესრიგში ჩართვის ადვოკატირებას“.აღნიშნულია ვებ-გვერდზე „გაერო საქართველოში“.

აქვე მითითებულია, რომ საქართველოში გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლობა მდებარეობს თბილისში, ასევე, ორგანიზაციას აქვს საველე ოფისები ზუგდიდში, გალსა და სოხუმში.

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი კვლავ რჩება ძირითად მოქმედ პირად დევნილთა დაცვის საქმეში და სრულად ასრულებს მათი დამცველის როლს, კონკრეტულად ორიენტირებულია მათი პრობლემების გრძელვადიან მოგვარებასა და დაბრუნების უფლების ჯეროვან პატივისცემაზე. აგრძელებს რა აფხაზეთში დაბრუნებული დევნილების რეინტეგრაციის ხელშემწყობ საქმიანობას, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი განაგრძობს მთავრობის ძალისხმევის მხარდაჭერას დევნილების სრული ინტეგრაციის მიმართულებით, რაც გულისხმობს 2012 – 2014 წლების დევნილების შესახებ სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულებას. მეტიც, იგი ხელს უწყობს დაცვას, კოორდინაციას, მონიტორინგსა და რეაგირებას, აკონტროლებს დაცვის ქსელს და მხარს უჭერს რეფერალური მექანიზმების შექმნას, ასევე, ანხორციელებს მიზნობრივ დაცვით ინტერვენციებს [**წყარო** № 1]**.**

1998 წელს გაეროში რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებმა ვეტო დაადეს აფხაზეთის ტერიტორიაზე გაეროს უმაღლესი კომისრის მისიის გაგრძელებას, რომელიც მონიტორინგს ახორციელებდა ოკუპირებულ აფხაზეთსა და საქართველოს მიერ კონტროლირებად კოდორის ხეობაში.

ევროკავშირი 25 მილიონი ევროს ღირებულების პროექტებით, აფხაზეთში ყველაზე დიდ დონორს წარმოადგენს. ეს თანხა ძირითადად რეაბილიტაციის პროექტებსა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურს ხმარდება. გაცილებით ნაკლები თანხაა გათვალისწინებული ადამიანის უფლებათა პროექტებისათვის, რომლებიც დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა ევროპული

ინიციატივის ფარგლებში ხორციელდება. ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის დაცვის პროექტებისათვის ორი გრანტი გამოიყო. ამგვარი მიდგომა, ნაცვლად ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებზე ორიენტირებისა, მიზნად ისახავს სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობათა განმტკიცებას. ე.წ აფხაზეთის ხელისუფლების მიერ გაწეული წინააღმდეგობის ერთ-ერთი საყოველთაოდ ცნობილი მაგალითია მის მიერ გალში **გაეროს** ადამიანის უფლებათა ოფისის ფილიალის გახსნაზე უარის თქმა [**წყარო № 2**].

კობერმი (**COBERM**) - ნდობის აღდგენისა და ადრეული რეაგირების მექანიზმი (ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ერთობლივი ინიციატივა). COBERM-ი ადრეული რეაგირების მექანიზმია, რომელიც კონფლიქტებით დაზარალებულ თემებს შორის ნდობის აღდგენას ემსახურება. COBERM-ი მხარს უჭერს სწრაფად განხორციელებად და კონკრეტულ სამოქალაქო ინიციატივებს, რომელთაც წვლილი შეაქვთ კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარებაში.

COBERM-მა მუშაობა დაიწყო 2010 წლის მაისში. პროგრამის ორი ფაზა განხორციელდა 2010 – 2015 წლებში, მესამე ფაზა კი დაიწყო 2016 წლის იანვარში და გაგრძელდება 2018 წლის ბოლომდე. საგრანტო პროგრამის მეშვეობით COBERM-ი მხარს უჭერს ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების ინიციატივებსა და საქმიანობას სხვადასხვა სფეროში, მათ შორის, კონფლიქტით დაზარალებული ადამიანების ცხოვრებისა და თემების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიმართულებით. პირველი ორი ფაზის შედეგად COBERM-მა ხელი შეუწყო 137 ადგილობრივი ინიციატივის განხორციელებას.

COBERM-ის, როგორც ნდობის აღდგენის მექანიზმის, გამოყენება მეტად ეფექტურია კონფლიქტის მოგვარების საქმეში ინოვაციური მიდგომების დასანერგად. ამას ადასტურებს პროგრამის ხელშეწყობით განხორციელებული პრაქტიკული ინიციატივები და ფართო თანამშრომლობა ქართულ, აფხაზურ, ოსურ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან ნდობის აღდგენისათვის ისეთ პრიორიტეტულ სფეროებში, როგორიცაა: ახალგაზრდების განათლება, სახალხო დიპლომატია, დიალოგი და კვლევა. ყველაზე მოწყვლადი თემების-საცხოვრებელი პირობებისა და შემოსავლების გაუმჯობესება, კულტურული თანამშრომლობა, ეროვნული უმცირესობები, ქალთა მონაწილეობის გაძლიერება, ჰუმანიტარული დახმარება და ჯანდაცვა, სათემო მობილიზაცია, ქმედითუნარიანობის გაზრდა, ინოვაციები [**წყარო № 3**].

ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო და დანიის ლტოლვილთა საბჭო ის ორგანიზაციებია, რომლებიც, შეიძლება თქვას, დიდი წარმატებით ახორციელებდნენ პროექტებს როგორც საგანმანათლებლო სფეროში, ასევე სოციალური მიმართულებითაც.

დანიის ლტოლვილთა საბჭომ გალის რაიონში ომის შედეგად დაზიანებული და დამწვარი 100-ზე მეტი საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაცია მოახდინა, ამასთან, ორგანიზაციის ძალისხმევით 200-ზე მეტი სახლი აშენდა გალის, ოჩამჩირისა და ტყვარჩელის რაიონებში, ასევე, ორგანიზაცია გასცემდა მცირე ბიზნეს-გრანტებს ადგილობრივ მოსახლეობაზე, მიკრო გრანტებს მეფუტკრეობა-მეცხოველეობის ხელშეწყობისათვის, აღსანიშნავია დანიელების წვლილი

საგანმანათლებლო მიმართულებითაც. გაიხსნა ინგლისური ენისა და კომპიუტერეზე მუშაობის შემსწავლელი უფასო კურსები ყველა მსურველისათვის, ასაკის შეუზღუდავად.

ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო (NRC) ძირითადად 6 მიმართულებით მუშაობს. ორგანიზაცია აფხაზეთში თავშესაფრის, იურიდიული მომსახურებისა და საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებით იყო დაკავებული. ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭომ, დანიის ლტოლვილთა საბჭოს მსგავსად, გალის რაიონის სოფლებში სკოლების რეაბილიტაცია სრულად აითვისა, ასევე 60 სახლი ააშენა გაეროს სატანდარტების გათვალისწინებით, თავისი საქმიანობის 4 წლის მანძილზე ორგანიზაციამ 200-ზე მეტი სახლის გადახურვა-რეაბილიტაცია განახორციელა. დღეისათვის ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ზემოთაღნიშნული არასათავრობო ორგანიზაციების შვილობილი ორგანიზაციები მოქმედებენ, ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს მისიამ 2012 წელს დატოვა აფხაზეთი.

მოძრაობა შიმშილის წინააღმდეგ (ACF ინტერნაციონალი) არის არასამთავრობო, კერძო, აპოლიტიკური, არარელიგიური ორგანიზაცია, რომელიც 1979 წელს შეიქმნა პარიზში. მისი საქმიანობა მოიცავს შიმშილთან, სიღარიბესა და სიცოცხლისთვის საშიშ სიტუაციებთან ბრძოლას, რომლებიც გავლენას ახდენენ ყველა ადამიანზე, განურჩევლად ასაკისა და სქესისა. ACF სამხრეთ კავკასიაში 1994 წლიდან მუშაობს. თავდაპირველად ორგანიზაციის საქმიანობა მოიცავდა საგანგებო და მის შემდგომ მდგომარეობაზე მიმართულ პროექტებს, რომლებიც სარეაბილიტაციო პროექტების სახელს ატარებდა ცვალებადი სოციო-ეკონომიკური კონტექსტის პირობებში. ACF-ს, რომელიც სამხრეთ კავკასიას-საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს მოიცავს, 6 ოფისი აქვს რეგიონში. მისი მთავარი საკოორდინაციო ოფისი მდებარეობს თბილისში. ორგანიზაცია მუშაობს თემის მობილიზებაზე, სოფლის მეურნეობაზე, მარკეტინგზე, სამართლებრივ საკითხებზე, მეცხოველეობაზე, სოციო-ეკონომიკურ საკითხებზე, მონაცემთა ბაზის მართვაზე, ინჟინერიაზე, ადმინისტრაციაზე, ლოჯისტიკაზე, მხარდაჭერასა და პროექტების მართვაზე [**წყარო № 4**].

აღსანიშნავია 1993 წლიდან დღემდე აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი **წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციის** როლი და ფუნქცია.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი (ICRC) — ნობელის პრემიის სამგზის ლაურეატი ჰუმანიტარული ორგანიზაცია, რომელიც 1863 წელს დაფუძნდა ჟენევაში, (შვეიცარია) დაჭრილთა დახმარების საერთაშორისო კომისიის შექმნასთან ერთად. თავდაპირველად ის ბრძოლაში დაზარალებულ ომის მონაწილეთათვის დახმარებით გაწევით შემოიფარგლებოდა. შემდგომში ორგანიზაციის საქმიანობა მშვიდობიან მოსახლეობაზეც გავრცელდა.

ორგანიზაციის წევრები ეძებენ უგზო-უკვლოდ დაკარგულებს, ცდილობენ დაღუპულთა საფლავების მოძიებას და მათ გადმოსვენებას, გარდა ამისა, ციხეებში ხვდებიან დაკავებულებს და უზრუნველყოფენ მათ კონტაქტს ოჯახთან. „წითელი ჯვრის“ საერთაშორისო კომიტეტი არის მიუკერძოებელი, ნეიტრალური და დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელსაც აქვს მხოლოდ ჰუმანიტარული მისია. ეს მისია გულისხმობს ომების და ქვეყნის შიდა არეულობების მსხვერპლთა სიცოცხლისა და ღირსების დაცვასა და მათთვის დახმარების აღმოჩენას.

„წითელი ჯვრის“ საერთაშორისო კომიტეტი ამჟამად წარმატებით ახორციელებს ბარათებისა და ამანათების პროგრამას [**წყარო № 5**].

ვორდ ვიჟენი არის ერთ ერთი უდიდესი არასამთავრობო, ინტერნაციონალური, ქრისტიანული შემწეობისა და განვითარების ორგანიზაცია, რომელიც 1950 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში დაარსდა. ორგანიზაციის მთავარ მიზანს წარმოადგენს „ყოველი ადამიანის კეთილდღეობა, განსაკუთრებით ბავშვების“. ვორდ ვიჟენი თავის საქმიანობას დედამიწის ექვსი კონტინენტის 97 ქვეყანაში ოთხი ძირითადი პროგრამით ახორციელებს: ბავშვები განსაკუთრებით რთულ გარემოებებში; კვების უსაფრთხოება და თემის განვითარება; ადამიანის უფლებები და მშვიდობის შენარჩუნება; მიკროსაწარმოების განვითარება. დღეის მონაცემებით ვორდ ვიჟენის მისია აფხაზეთში თავის საქმიანობას არ ეწევა [**წყარო № 6**].

სამწუხაროდ, დღეისათვის აფხაზეთის ტერიტორიაზე არ მოქმედებს არცერთი მსხვილი საერთაშორისო ორგანიზაციის მისია, გარდა ზემოთ აღნიშნული წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტისა. სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმა კონფლიქტის ზონა დატოვეს და მათ მიერ დაწყებულ საქმიანობებს ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები და პარტნიორი ფონდები ახორციელებენ.

მაგალითად, **არასამთავრობო ორგანიზაცია - პედაგოგთა კავშირი "განათლება და სამყარო" (UTEU)** არის საზოგადოებრივ - პროფესიული ორგანიზაცია, რომელიც 2002 წელს დაფუძნდა. მისი მისია შემდეგ მიმართულებებს მოიცავს: განათლების სფეროში დემოკრატიული პროცესების განვითარება და ხელშეწყობა; მსოფლიო კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცესთან ინტეგრაცია, ზრუნვა მოსწავლე - ახალგაზრდობის განვითარების, განათლებისა და დასაქმებისათვის, სამოქალაქო განათლება, ადამიანის ინტერესებისა და უფლებების დაცვა, მონაწილეობა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესში, არასამთავრობო სექტორის ხელშეწყობა და განვითარება. მიზნობრივი ჯგუფები კი არიან პედაგოგები, მოსწავლე ახალგაზრდობა, ქალთა ჯგუფები, იძულებით გადაადგილებული პირები. ორგანიზაციის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროექტები ემსახურება დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას, სამოქალაქო საზოგადოების განათლებას და დემოკრატიული პროცესების განვითარებას ემსახურება. ამ ორგანიზაციას ჰყავს პარტნიორები აფხაზეთის ტერიტორიაზე, არა მარტო გალის რაიონში, არამედ ოჩამჩირესა და ტყვარჩელშიც. გალის, ოჩამჩირის და ტყვარჩელის სკოლებში უკვე ისწავლება სამოქალაქო განათლების საფუძვლები, კობერმის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში გამოცემული წიგნით , რომელიც ქართველი და აფხაზი პედაგოგების მიერ ერთობლივად შემუშავებული თემატიკით არის შედგენილი. წიგნი საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა და მომავალი წლიდან მისი სოხუმის სკოლებში შეტანაც იგეგმება, სამოქალაქო განათლების საფუძვლების ეფექტურად სწავლების მიზნით პედაგოგებისთვის ერთობლივი ტრენინგ სემინარების ჩატარებაც არის გათვალიწინებული [**წყარო № 7**].

3. ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები და მათი საქმიანობის მიმართულებები

1997 წელს დაარსებული **არასამთავრობო ორგანიზაცია "სოხუმის ახალგაზრდობის სახლი"** თავდაპირველად კონფლიქტში დაზარალებულთა ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციაზე მუშაობდა. შემდგომში ორგანიზაციამ განათლების მიმართულებით გააფართოვა აქტივობა და ენებისა და კომპიუტერის შესწავლის კურსები დაამატა, ასევე, ბენეფიციარებს შესთავაზა ვიზუალური და თეატრალური ხელოვნების კურსები და ტრენინგები მშობლებისა და ახალგაზრდული ორგანიზაციებისთვის.

"ჩვენ იმ ბავშვებზე ვკონცენტრირდებით, რომელთა ოჯახებსაც კონფლიქტი შეეხო. მიუხედავად იმისა, რომ მთელი ქვეყანა დაზარალდა, აღმოსავლეთ აფხაზეთზე ვაკეთებთ აქცენტს. ჩვენს სამომავლო მიზანს შეადგენს ბავშვების ჩართულობა ყველა რეგიონიდან. ადგილობრივი მცხოვრებლები ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები არიან, რომლებსაც კიდევ უფრო მეტად სჭირდებათ მხარდაჭერა, რადგან ისინი საზღვრის პირას ცხოვრობენ,".-- ამბობს "სოხუმის ახალგაზრდობის სახლის" დამფუძნებელი ელენე კობახია (დომინიკ კ. კაგარა- „სამოქალაქო საზოგადოება აფხაზეთში: სამი პორტრეტი გალიდან").

ჟურნალისტი აღნიშნავს, რომ კონფლიქტის შემდეგ ბევრი წელი გავიდა, თუმცა მისგან დარჩენილი ჭრილობები ისევ ღრმაა. გალი განსაკუთრებულად ზარალდება - აქ ხალხი დაუცველი და გაუცხოებულია, რასაც უნდობლობა და ენობრივი ბარიერი იწვევს.

„ საოხუმის ახალგაზრდობის სახლის" დირექტორის მოადგილე აიდა ლადარია თვლის, რომ "გალის მოსახლეობის ინტეგრაცია სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთი მოვალეობაა".

"ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ აფხაზეთის შესახებ მეტი ინფორმაცია ჰქონდეთ. ძალიან ბევრი ადამიანი არც კი ყოფილა სოხუმში, არადა იქამდე მხოლოდ რამდენიმე კილომეტრია, ომის შემდგომ თაობას კიდევ უფრო ნაკლები შესაძლებლობა ჰქონდა დაემყარებინა ურთიერთობა აფხაზეთთან. ჩვენ ვმუშაობთ ამ ადამიანებს შორის ურთიერთნდობის აღდგენაზე.- ამბობს აიდა. [**წყარო № 8**].

ჰუმანიტარული პროგრამების ცენტრი (CHP) ერთ-ერთი პირველი არასამთავრობო ორგანიზაცია იყო, რომელიც აფხაზეთის 1992-1993 წლის კონფლიქტის შემდეგ დაარსდა. „სოხუმის ახალგაზრდობის სახლის" მსგავსად, CHP-მა მუშაობა კონფლიქტის შემდგომი ფსიქო-რეაბილიტაციით დაიწყო და დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა ორგანიზაციად, რომელიც აფხაზეთის სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიული ინსტიტუციების გაძლიერებაზე ფოკუსირდება.

„გალის რაიონის მაცხოვრებლებისთვის კანონმდებლობა და ბიუროკრატია ხშირად იქცევა პრობლემად: პასპორტის მიღება, დოკუმენტების, მაგალითად დაბადების მოწმობის ასლის ვალიდურობის აღიარება, ასევე, გალის მაცხოვრებელსა და საქართველოს მოქალაქეს შორის ქორწინების პროცესი კოშმარს ემსგავსება. გალში ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც ადამიანები, რომლებიც ოფიციალურად არ არიან აფხაზეთის მოქალაქეები, ძალით გაიწვიეს აფხაზეთის არმიაში, შემდეგ კი არაკანონიერად გაასამართლეს და დეზერტირობა დასწამეს",- (CHP-ს სოხუმში, გალში, ოჩამჩირესა და ტყვარჩელში აქვს იურიდიული კონსულტაციის ოფისები .(დომინიკ კ. კაგარა- „სამოქალაქო საზოგადოება აფხაზეთში: სამი პორტრეტი გალიდან").

“გალში ყველაფერი პოლიტიზირებულია, რადგან აქ მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ეთნიკურად ქართველია, საზღვარიც ახლოსაა”, - აღნიშნავს დიანა კერსელიანი, CHP-ს პროექტის კოორდინატორი. დიანა ხაზს უსვამს, რომ გალის რეგიონი მათი პან-აფხაზური აქტივობების სპექტრის ნაწილია. “აქ ყველაფერი ფრთხილად უნდა აკეთო, რათა ადამიანებს ზიანი არ მიაყენო. თუ შეცდომას დაუშვებ, ისინი კიდევ უფრო მეტად გაწვალდებიან.”

კერსელიანი აღიარებს ადგილობრივი ადმინისტრაციის უნდობლობას CHP-სადმი, რისი მიზეზიც, ძირითადად, საერთაშორისო ფონდებიდან მიღებული დაფინანსებაა. ეს უნდობლობა აფხაზური საზოგადოების სხვა ფენებშიც ვრცელდება:

“არის წრეები, სადაც ვეზიზღებით. ისინი ამბობენ, რომ ჩვენ გალის მოსახლეობის უფლებებს ვიცავთ და დანარჩენი აფხაზების ინტერესები არ გვადარდებს,” - ამბობს დიანა. “მაგრამ ეს არ არის სიმართლე! ჩვენ მთელ აფხაზეთში ვმუშაობთ. ჩვენი იურიდიული კონსულტაციის ოფისიდან მიღებული მონაცემებიდან ჩანს, რომ იურიდიულ კონსულტაციას ძირითადად აფხაზებს ვუწევთ. ალბათ ინფორმაციის ნაკლებობაა, ალბათ ადამიანები პროპაგანდის მსხვერპლები არიან, აქ ხომ რთული გეოპოლიტიკური კონტექსტია.” [**წყარო № 8**].

გალში, მოქმედი **“დემოკრატიის ინსტიტუტი”** 2007 წელს დაარსდა გაეროს სადამკვირვებლო მისიის (UNOMIG) დახმარებით. ამ ორგანიზაციის მთავარი მიმართულება რეგიონში ადამიანთა უფლებების დაცვაა. “ჩვენ ადგილობრივ მოსახლეობასა და მთავრობას შორის კომუნიკაციის დამყარებაზე ვმუშაობთ,” - აღნიშნავს ინერნეტ-გამოცემა „ჩაიხანასთან“ საუბარში ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი ედუარდ ტორუა.

მისი თქმით, აფხაზეთში ადამიანები, როგორც წესი, ჯერ არასამთავრობო ორგანიზაციასთან მიდიან, რომელიც მერე თავის მხრივ შესაბამის ორგანოებს მიმართავს. ბევრად უფრო ეფექტური იქნებოდა, ადამიანებს პირდაპირ, შუამავლების გარეშე რომ შეეძლოთ პრობლემების მოგვარება.

ინსტიტუტმა დააარსა “მხარდაჭერის საჯარო ჯგუფი”, სადაც აღმოსავლეთ აფხაზეთის 15 წარმომადგენელი ერთიანდება. თითოეული დელეგატი საქმის კურსში აყენებს ორგანიზაციას თავის კომუნაში ზოგადი სიტუაციისა და უსაფრთხოების რისკების შესახებ. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით დემოკრატიის ინსტიტუტი აწყობს შეხვედრებს ადგილობრივებთან და მთავრობის წარმომადგენლებთან, რათა მათ პრობლემების გადაჭრაში დაეხმაროს.

ე. ტორუას თქმით, „გაურკვევლობა“ არის სწორედ ის სიტყვაა, რომელიც გალის რაიონში ბევრ საკითხს ესადაგება. აქ მოსახლეობის უმრავლესობა „აფხაზეთის მოქალაქედ“ არ ითვლება, ამიტომ მათზე არ ვრცელდება ბევრი ადგილობრივი კანონი და უამრავი პრობლემა გადაუჭრელი რჩება. “აქ ხალხმა არ იცის, ჩათვალოს თუ არა თავი აფხაზეთის მოქალაქედ, თუ უბრალოდ “მაცხოვრებლად”. ისინი თავს დაუცველად გრძნობენ, აფხაზეთის მოქალაქეობის გარეშე, მათ არა აქვთ ბიზნესის კანონიერად წარმოების საშუალება, არ შეუძლიათ ავტომობილის მართვის მოწმობის აღება. მათთვის შეზღუდულია ქონების მემკვიდრეობით მიღება ან შესყიდვა, რადგან ნოტარიუსი ამ შეთანხმებებს არ დაარეგისტრირებს. არის პრობლემები განათლებასთან, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობასთან და გადაადგილების თავისუფლებასთან დაკავშირებითაც.”- აღნიშნავს ტორუა.

დემოკრატიის ინსტიტუტის აქტივისტები ადგილობრივი ე.წ. მთავრობისგან განსხვავებულ რეაქციებს იღებენ. "არასამთავრობოების მუშაობისადმი უნდობლობა ახალი არ არის, არც სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებია ახალი აფხაზეთისთვის,. თუმცა მთავრობა იმდენად ხშირად იცვლება, რომ სიტუაცია არ სტაბილურდება. სახეზეა პროპაგანდა, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციებს "დამანგრეველ მოქმედებებს" აბრალებენ.-აცხადებენ ისინი.

ე. ტორუას თქმით, მისი აქტივობის მიზანი მშვიდობის მიღწევაა. ის 2002 წლიდან მონაწილეობას ღებულობს ქართველებთან ერთად მშვიდობის მშენებლობის ფოკუს ჯგუფში.

"მინდა, რომ გალის მოსახლეობას აღუდგეს ღირსება და იგრძნონ, რომ მათ შეუძლიათ ყველა იმ უფლებით სარგებლობა, რომლითაც დასავლეთ აფხაზეთის მოსახლეობა სარგებლობს. ისინი აქ ოცი ან ორმოცი წლის წინ არ ჩამოსულან საცხოვრებლად. ეს აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობაა და სრული უფლება აქვთ, რომ ამ ქვეყნის მოქალაქეები იყვნენ. მე მინდა თანასწორობა და ეროვნული უმცირესობების დაცვა. ეს მშვიდობას, ერთიანობას და განვითარებას მოიტანს. ჩვენ ერთად შევძლებთ წინ წავიდეთ." -აცხადებს ტორუა.[**წყარო № 8].**

გალის რაიონში, ასევე, მოქმედებენ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ძირითადად ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობენ და პროექტებს საერთაშორისო ორგანიზაციების დაფინანსებით ახორციელებენ [**წყარო № 10].** ამასთან, ნაკლები აქტიურობით, მაგრამ მაინც ფუნქციონირებენ შემდეგი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები:

ასოციაცია „ავანგარდი", (აღმასრულებელი დირექტორი ანჟელა ტორუა). ორგანიზაცია მუშაობს ძირითადად საგანმანათლებლო პროექტებზე მოსწავლეებთან და ქალბატონებთან. ასოციაცია აქვს პერიოდული აქციები სამედიცინო გამოკვლევაზე. შვედურმა ორგანიზაცია „კვინა ტილ კვინამ" (ქალები ქალებისათვის) საჩუქრად ჩამოიტანა პორტატული ექოსკოპიის აპარატი და ოფისში ადგილობრივი ექიმების დახმარებითა და ხელშეწყობით გაიხსნა რეპროდუქციული კაბინეტი, რომლითაც ძალიან ბევრი სარგებლობს რაიონის მასშტაბით.

ამ კაბინეტის წარმატებას ძალიან უწყობს ხელს ის, რომ გამოკვლევა უფასოა, - აცხადებს ასოციაციის დირექტორი. აქვე მოქმედებს, ინგლისური ენისა და კომპიუტერის, ასევე. ხელობის შესწავლის კურსები, ტრენინგები სასიცოცხლო უნარებზე. ასოციაცია 2000 წლიდან ფუნქციონირებს, ორიენტირებულია მშვიდობის მშენებლობაზე. (ორგანიზაციის დონორები არიან „კვინა ტილ კვინა", ევროკავშირი, გაეროს ბავშვთა და ქალთა ორგანიზაციები, „სეივ დე ჩილდრენ");

არასამთავრობო ორგანიზაცია „სამურზაყანო", (ხელმძღვანელი ქეთევან გოგოხია), მუშაობს ძირითადად საგანმანათლებლო პროექტებზე ქალებთან და ბავშვებთან, აქვს ხელსაქმის, ინგლისურის და კომპიუტერის შემსწავლელი კურსები, ასევე, ბოლო რამდენიმე წელია ევროკავშირის დაფინანსებით ახორციელებენ სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამას მეფუტკრეობა-მეთევზეობის განხრით. მჭიდრო კონტაქტები აქვთ საქართველოში არსებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან;

სარეაბილიტაციო ცენტრი ინვალიდი და უნარშეზღუდული ბავშვებისათვის. ამ ცენტრისთვის სავარჯიშო დარბაზი, მასაჟის კაბინეტი და გასართობი სივრცე გაკეთდა დანიის ლტოლვილთ საბჭოს, ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს და გაეროს უმაღლესი კომისარიატის ხელშწყობით;

გალის რაიონში ასევე მოქმედებენ სხვა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, მათ შორის ასოციაცია „აფხაზეთი“;, “ინვალიდთა ასოციაცია“. ასოციაცია „სპექტრი“. “სახალხო დიპლომატია“. “გალის ბავშვთა და ახალგაზრდობის სახლი“, “აფხაზ თავადაზნაურთა კავშრი“, “გალის ქალთა კაშირი“, “შშმ პირების კავშირი“.

გალის რაიონში არასამთავრობო ორგანიზაციების მომრავლება იქ მოქმედმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა განაპირობეს, რომლებმაც თავის დროზე ძალიან ბევრი ადგილობრივი მცხოვრები დაასაქმეს, ბევრ ოჯახს გაუჩინეს შემოსავლის წყარო (ტექნიკური პერსონალის ხელფასი და უძრავი ქონების იჯარით მიღებული შემოსავალი). ასევე, გადაამზადეს მოქალაქეები, რომლებმაც ისწავლეს პროექტების წერა და შესაბამისად, ისინი არსებულ საჭიროებებს მოარგეს.

ადგილობრივი არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების თქმით, ბოლო წლებში (გაეროს მისიის გასვლის შემდეგ) არასამთავრობო ორგანიზაციებმა ძალა დაკარგეს და მხოლოდ საგანმანათლებლო ფუნქცია შეითავსეს (უცხო ენის, ხელსაქმის, კომპიუტერის კურსები) შექმნილ ვითარებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ერთის მხრივ, ოკუპირებული რეგიონიდან მსხვილი საერთაშორისო ორგანიზაციების გასვლამ, მეორე მხრივ კი, სეპარატისტული ხელისუფლებისა და საზოგადოების ერთი ნაწილის ნეგატიურმა დამოკიდებულებამ არასამთავრობო სექტორის მიმართ. როგორც ისინი აცხადებენ, სოხუმში თითქმის ყველა ძირითადი არასამთავრობო ორგანიზაცია დაიხურა, გალში კი მათი საქმიანობის გაკონტროლებას ადგილობრივი ხელისუფლება ცდილობს, რომელმაც მოითხოვა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტები რაიონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობასთან იქნას შეთანხმებული, ასევე სეპარატისტული ხელისუფლების მაღალჩინოსნებს ეკრძალებათ მონაწილეობის მიღება არასამთავრობო ორგანიზაციების ძალისხმევით როგორც ადგილზე, ასევე, საზღვარგარეთ გამართულ ღონისძებებში.

დღეის მდგომარეობით გალის რაიონში მოქმედი ყველა არასამთავრობო ორგანიზაცია მხოლოდ და მხოლოდ საგანმანათლებლო პროექტებზე მუშაობს და ეს შემთხვევითი არ არის, რადგან აქ არის სკოლები, სადაც მოსწავლეებს აკრძალული აქვთ ქართულ ენაზე სწავლა და საუბარი, მშობლიურ ენაზე განათლების მისაღებად ენგურსგაღმა გადაადგილება, ამ არასამთავრობო ორგანიზაციებში, სადაც ეს ახალგაზრდები ინგლისურ ენას, კომპიუტერს და ცხოვრებისეულ უნარ-ჩვევებს ეუფლებიან, მათ შესაძლებლობა ეძლევათ ტრენინგები ქართულ ენაზე გაიარონ, ქართულად ისაუბრონ, მონაწილეობა მიიღონ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მოქმედ სხვადასხვა პროგრამებში, ჰქონდეთ შეხება და მუდმივი, უწყვეტი კომუნიკაცია ენგურსგამოღმა თანატოლებთან.

როგორც სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები აცხადებენ, სოხუმში არასამთავრობო ორგანიზაციების ძალიან დიდი ნაწილი დაიხურა, მიზეზად პროექტების დასრულება სახელდება, თუმცა, ცხადია, რომ ეს მომენტი სეპარატისტული რეჟიმის წარმომადგენლების მხრიდან არასამთავრობო სექტორის საქმიანობის მიმართ უნდობლობას და სკეპტიციზმს უკავშირდება.

„დარჩნენ აბსოლუტურად პოლიტიზირებული ორგანიზაციები, რომლებიც არც კი გამოირჩევიან ე.წ. ხელისუფლების სტრუქტურებისგან. არასამთავრობო ორგანიზაციის და დონორი პარტნიორის პირდაპირი მოთხოვნა არის მშვიდობიანი გზით კონფლიქტის მოგვარება, უმნიშვნელოვანესი წვლილის შეტანა მშვიდობის მშენებლობის პროცესში და სამოქალაქო

საზოგადობის განვითარება, რასაც ძალიან აცდენილია დღევანდელი „სოხუმური ენჯეო-სექტორის“ საქმიანობა. და, სამწუხაროდ, ეს არ არის შემთხვევითი. მათ შესაბამისი ორგანოებიდან მიღებული აქვთ კონკრეტული დავალება, თუ რა სახის პროექტები დაწერონ, ვისზე მორგებული უნდა იყოს ესა თუ ის პროექტი და რას უნდა ემსახურებოდეს ის, რაც კატეგორიულ წინააღმდეგობაში მოდის არასამთავრობო სექტორის ამოცანებთან და მიზნებთან.“- აცხადებს ერთ ერთი არსამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი.

მისივე თქმით, 2008 წლამდე საკმაოდ აქტიური თანამშრომლობა ჰქონდათ ქართულ და აფხაზეთში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებს - მასწავლებლების გადამზადება, საზაფხულო სკოლები თუ ბანაკები, გაცვლითი პროგრამები, სოფლის მეურნეობის განვითარების მატერიალური მხარდაჭერის პროგრამაც კი ხორციელდებოდა, რაც გალის რაიონის დაბალი ზონის სოფლებში ბენეფიციარებისთვის მსხვილფეხა საქონლის ყიდვას ითვალისწინებდა. პროექტს ახორციელებდა ასოციაცია „თანხმობა“, გერმანული ლუთერანული ეკლესიის ფინანსური მხარდაჭერით. ასევე, მათი ძალისხმევით სოფელ ნაბაკევში ადგილობრივ პოლიკლინიკას გადაეცა პორტატული ექოსკოპიის აპარატი, ავტომანქანა, სისტემატიურად მიეწოდებოდათ მედიკამენტები, რითაც ძალიან კმაყოფილი იყო მიმდებარე სოფლების მოსახლეობა. სამწუხაროდ, დღეს ეს პროექტი არ ხორცილდება.

აფხაზეთის ე.წ. ხელისუფლების გადაწყვეტილებით, არასამთავრობო ორგანიზაციებს საქართველოდან დიდი რაოდენობით სამშენებლო მასალების შეტანა აეკრძალათ. „ლაივპრესის“ სოხუმელი კორესპონდენტის ამრა ადლეიბას ცნობით, აკრძალვა შეეხება იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც აფხაზეთში საომარი მოქმედებების შემდეგ ინფრასტრუქტურის აღდგენის მიმართულებით მუშაობენ. აფხაზეთის საბაჟო სამსახურის მიერ წარმოებული აღრიცხვის შედეგად გაირკვა, რომ დიდი რაოდენობით ცემენტი, ქვა და სხვა სახის სამშენებლო მასალები, სწორედ, რომ საქართველოდან შედის და მისი გადამტანი აფხაზეთში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები არიან. ამრა ადლეიბას ინფორმაციით, აკრძალვა არ შეეხებათ იმ მოქალაქეებს, რომლებსაც საკუთარი ოჯახის საჭიროებისთვის, ურიკებით, ან სამარშუტო ტაქსებით მიაქვთ მცირე რაოდენობის სამშენებლო მასალა [**წყარო № 9**].

2008 წლიდან რადიკალურად შეიცვალა მდგომარეობა, ვინაიდან გაეროს სადამკვირვებლო მისია გაწვეული იქნა ოკუპირებული ტერიტორიიდან, რამაც სერიოზული საფრთხე შეუქმნა არა მარტო პროექტების განხორციელებას არამედ, მეტნაკლებად მშვიდობიან გადაადგილებას ადგილობრივებისათვის.

ცხადია, ზემოთ აღნიშნულ ანალიზს ვერ ექნება პრეტენზია, სრულად მოიცვას ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის ყველა მხარე და ასპექტი, რადგანაც მასალები ამ ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ ძალზე მწირია, მაგრამ ფაქტია, რომ იქ არსებული ე.წ. ხელისუფლება ყველა ზომებს ღებულობს იმისთვის, რომ არასამთავრო ორგანიზაციების, როგორც დემოკრატიის განვითარების ერთ ერთი ინსტუტუტის მუშაობას სერიოზულად შეუშალოს ხელი, რადგან სეპარატისტული რეჟიმის ინტერესებში ვერ იქნება ოკუპირებულ ტერიტორიაზე ეთნიკური ნიშნით ადამიანთა დისკრიმინაციის, მათი უფლებების ხელყოფის ფაქტების გავრცელება , რაც რა თქმა უნდა სერიოზულად აფერხებს ამ ორგანიზაციების საქმიანობას.

4. დასკვნა

ოკუპირებულ ტერიტორიაზე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მოქმედების ანალიზისას იკვეთება, რომ კონფლიქტის შემდგომ პერიოდში ამ ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს პოსტკონფლიქტური სიტუაციის ნეგატიური პროცესების დაძლევასა და ადგილზე დარჩენილი მოსახლეობის მხარდაჭერაში სხვადასხვა მიმართულებით - სამოქალაქო განათლება, ნდობის აღდგენა, მშვიდობის მშენებლობა, ჰუმანიტარული კრიზისის დაძლევა, ადამიანთა მოწყვლადი ჯგუფების ეკონომიკური მხარდაჭერა და სხვ. თუმცა 2008 წლის შემდეგ ოკუპირებული ტერიტორიიდან გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების გასვლის შემდეგ ვითარება შეიცვალა და დღეს სახეზეა უკონტროლო ტერიტორიაზე სეპარატისტული რეჟიმის თვითნებობის- ადამიანების ეთნიკური ნიშნით დაყოფის, მათი იზოლაციისა და გარე-სამყაროსგან მოწყვეტის შემთხვევები.

ამ ვითარებაში ადგილზე მოქმედი არასამთავრობო სექტორის ნაწილი ცდილობს შეავსოს ის ვაკუუმი, რაც საერთაშორისო ორგანიზაციების გასვლით შეიქმნა, თუმცა ამის გაკეთება ადვილი არ არის, მწირი მატერიალური რესურსებისა და ადგილობრივი ე.წ. ხელისუფლების ზეწოლის პირობებში. საჭიროა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების- გაეროს, ევროკავშირის, ეუთოს ყურადღება მაქსიმალურად მიექცეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე შექმნილ სავალალო მდგომარეობას - ფაქტობრივად სამოქალაქო საზოგადოების არარსებობას, შეფერხებებს ომით გახლეჩილ საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენის, მშვიდობის მშენებლობის მიმართულებით, გალის რაიონის ადგილობრივი მოსახლეობის ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციასა და მათი უფლებების ხელყოფას, რაც 21- საუკუნეში არსებულ რეალიებთან ნამდვილად შეუთავსებელია.

იმედი გვაქვს, რომ ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევით, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიმდინარე პროცესებში მათი აქტიური ჩართვით, ადგილებზე მოქმედი არასამთავრობო სექტორის საქმიანობის დახვეწითა და სრულყოფით შესაძლებელი გახდება კონფლიქტის ზონებში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესება, მხარეთა შორის ნდობის აღდგენა და განმტკიცება, რეალური ნაბიჯების გადადგმა თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში დევნილთა და ლტოლვილთა ღირსეული დაბრუნებისა და და კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგებისთვის.

გამოყენებული წყაროები:

1. http://www.ungeorgia.ge/geo/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98/un_agencies?info_id=19#.XGUAsjpRWig;
2. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL4.2&d=HASHe6c3b7c46610347ea52d84.4;
3. www.ge.undp.org/.../confidence-building-early-response-mechanism--coberm-.html;
4. http://mra.gov.ge/geo/static/85;
5. http://monikachitorelidze.blogspot.com/p/blog-page_9.html;
6. https://ka.wikipedia.org/wiki/World_Vision_International;

7. https://nl-nl.facebook.com/pg/Union-of-Teachers-Education-and-Universe-220841264606274/about/;
8. https://chai-khana.org/ka/samoqalaqo-sazogadoeba-apkhazetshi-sami-portreti-galidan;
9. https://www.livepress.ge/ka/akhali-ambebi/article/2374-2012-04-07%2009-14-31.html;
10. https://www.radiotavisupleba.ge/a/24581407.html.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის პოლიტიკური ანალიზისა და კვლევების სამმართველო